07/01/2021

ჩვენს გულშიც იშვას უფალი – ღმერთმა თავისი განკაცებით უდიდესი სიყვარული მოგვიტანა

– რისთვის განკაცდა ღმერთი? ყველაზე დიდი განძი, დიდი ნიჭ რაც დაკარგა ადამიანმა ცოდვის დაცემით ეს არის ღმერთთან ურთიერთობის უნარი. ცოდვა ჩადგა ღმერთსა და ადამიანს შორის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ლოცვებში მივმართავთ -“შენგან შობილი დაიხსნა კედელი მტერობისა”. ის კედელი, რომელიც აღმართული იყო ღმერთსა და კაცობრიობას შორის. ცოდვამ ეს კედელი აღმართა და ამ კედლის დანგრევა არ შეეძლო ადამიანს თავისი ნებით. სჯულის აღსრულებაც კი არ შეეძლო. სწორედ ამისთვის გახდა საჭიროდ ღმერთის განკაცება ანუ ღმერთკაცის მოვლინება, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა დიდ ტვირთს, რაც ეშმაკმა ჩამოაგდო,- შური იმ მტერობას დაანგრევდა და განაქარვებდა.

გვესაუბრება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ღვთისმსახური დეკანოზი **ლუკა ბუცხრიკიძე:**

– ქრისტე მაცხოვარმა თავისი შობით ადამიანის ხორცში გადგმული ის ცოდვის ფესვი ამოაგდო, რომელმაც წაართვა სიკეთისადმი მადლისადმი ლტოლვის უნარი. ქრისტეს შობის გარეშე ადამიანი განწირული იყო უღმერთობისთვის და სიკვდილისთვის. ადამიანი ისე ღრმად დაეცა ცოდვაში, რომ მას წაერთვა ყოველივე სიკეთის ქმნის და მადლთან მიახლების უნარი, ის ძაფი გაწყდა, რომელიც ღმერთსა და კაცობრიობას შორის იყო გაბმული. მიცვალებულთა პანაშვიდის ასამაღლებელში არის ასეთი სიტყვები, – “შენ ხარ აღდგომა, ცხოვრება და განსვენება”. აღდგომა არის უფალი,

უფალმა აღადგინა ადამიანი დაცემული მდგომარეობიდან.
უფალმა თავისი მოვლინებით მცნებებიც დაგვიტოვა, უფალმა თავისი მოვლინებით ცხოვრების წესიც გვიჩვენა

– პირველად მცნებები უფლის მოსვლამდე თავად უფალმა მოგვცა, მოსეს ვგულისხმობ, მოსეს 10 მცნებას: “გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი”,
“გიყვადეს მოყვასი შენი”, “პატივი ეცი მამასა შენსა” და ასე შემდეგ. მცნებები, მოსეს სჯული მოსემ დაგვიტოვა. უფალი არა მცნების მოსაცემად მოვიდა, არამედ გამოხსნითვის. პავლე მოციქული ძალიან ლაკონურად განმარტავს ამას, სჯული მოსესგან მოგვეცა, მადლი და გამოხსნა ქრისტე იესუის მიერ უფლისა ჩვენისა . კონკრეტულად მცნება, როგორ მოვიქცე, მე. პედაგოგიური აღმზრდელობითი სჯული მომეცა მოსესგან ქრისტეს მოსვლამე, მაგრამ რაშია საქმე, მე ვერ აღვასრულე სჯული. ადამიანმა ვერ აღასრულა მოცემული სჯული და სწორედ ამისთვის გახდა მაცხოვრის მოვლინება.
სჯულის აღსრულება და სიკეთის ქმნა მადლის გარეშე შეუძლებელია. მადლი მოგვცა სწორედ ქრისტე მაცხოვარმა. უფალი ბრძანებს, არაფერი შეგიძლია ჩემს გარეშე, იმიტომ, რომ ადამიანი იმ დონემდეა დაცემული ცოდვაში, რომ მას სიკეთისთვის ბრძოლა სჭირდება. ადამიანი სიკეთეს ვერ გააკეთებს თუ ღვთის მადლი არ დაეხმარა. უფალმა რაც მოგვიტანა ახალი სჯული, ეს სიყვარულის სჯულია. უფალმა მოგვიტანა სიყვარული, აღუწერელი სიყვარული ღვთისა ქმნილების მიმართ.
მამა-შვილური სიყვარული და გვასწავლა, რომ ღმერთი არ არის მქუხარე, არამედ ღმერთი არის თქვენი მამა, რომელსც ძალიან უყვარხართ . უფალმა რაც მოგვიტანა პირველი მცნება და მაგალითი თითოეულმა ქრისტიანმა უნდა გავითავისოთ, ეს არის მცნება სიყვარულისა. უფალი ამბობს, თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება სჯულის მცოდნეების, ფარისევლების სიმართლეს, თქვენ ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. რას ნიშნავს ეს, ისინი ხომ ცდილობდნენ აღესრულებინათ . გარეგნულად აღასრულედბნენ, მაგრამ ვერ აღასრულებდნენ შინაგანად, ჭეშმარიტად ვერ აღასრულებდნენ, რადგან ადამიანს ამის საშუალება, პოტენცია არ ჰქონდა. უფალმა მოგვიტანა მცნება სიყვარულისა და მადლი მოგვიტანა ამ სიყვარულისა. ანუ ღვთაებრივი მადლით ღვთისადმი სიყვარულით შეიძლება ადამიანი გახდეს კარგი და იცხოვროს ქრისტესთან ჭეშმარიტად სჯულიერად.
თანამედროვეობის მიუხედავად ღვთის მცნებები არ ცვდება

– პავლე მოციქული ამბობს, ქრისტე იგივე არს უკუნისამდე. დრო იცვლება, დროში რაღაც მიდის, მოდის, სხვადასხვა ტენდენციები, მაგრამ რა თქმა უნდა ეკლესია არ იცვლება.
მართლმადიდებლურ ლიტერატურაში ვიცნობთ ერის ავტორობით დაწერილ თხზულებას “მწყემსი”, სადაც მოცემულია ეკლესიის ალეგორიული სახე, მან იხილა მოხუცი, წარჩინებული ქალბატონი და იხილა კოშკი, რომელიც შენდება მარადჟამს და არასდროს არ მთავრდება. ეს ორივე ალეგორიული სიმბოლო განასახიერებს ეკლესიას. მოგეხსენებათ, ეკლესია ქრისტეს სხეულია. ეკლესია ქრისტეს გარეშე და

ქრისტე ეკლესიის გარეშე შეუძლებელია. ეკლესია არის მარადჟამ ძველი, მაგრამ არის მარადის განახლებადი. ჩვენ ერთგულნი ვართ იმ მცნებების მემკვიდრეობის, რაც მოციქულებმა მიიღეს და გადმოგვცეა. ეკლესია არის ცოცხალი ორგანიზმი. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ადამიანები სამწუხაროდ კარგად არ იცნობენ ეკლესიურ სწავლებას, ქრისტიანულ მოძღვრებას. ჩვენი პრობლემა სამწუხაროდ იმაში ვლინდება, რომ ხშირ შემთხვევაში არ ვართ ეკლესიური აზროვნების ადამიანები, ეკლესიურად არ ვაზროვნებთ.

რაში გამოიხატება? ზოგი ამბობს, რომ მართლმადიდებლობა, ქრისტიანობა XXI საუკუნისთვის ძალიან მოძველებულია და შეუძლებელია მცნებებით ცხოვრება, მაგრამ პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ჩვენ ვშორდებით წმინდა მამათა მემკვიდრეობას და ადამიანები ცდილობენ რაიმე ახალი შექმნან, რაც ყოვლად შეუძებელია. ძველი და თანამედროვე ღვთისმეტყველი მამები გვასწავლიან, რომ საფუძვლებიდან გავაცოცხლოთ ჩვენი სარწმუნოება. მცნებები და მამებისგან მოცემული სწავლებები უნდა შევინარჩუნოთ და გავაცოცხლოთ ცხოვრებაში. სამწუ თუ ვინმეს სურს საკუთარ ცხოვრებას მოარგოს სახარება და ქრისტიანული სარწმუნოება, ეს შეუძლებელია. ქრისტე მაცხოვარი იმისთვის მოვიდა და მამებმა იმისთვის იღვაწეს და გვასწავლეს, რომ ჩვენში მოხდეს ცვლილება, ფერისცვალება და ჩვენი ცხოვრება მოვარგოთ წმინდა მამათა სწავლებებს. ამით განიწმინდება ადამიანი და ჭეშმარიტად ღვთის შვილი ხდება. ეს პრობლემაა დღევანდელ ცხოვრებაში.

გვავიწყდება ძველი და ვიწყებთ საფუძვლის გარეშე რაღაცის აშენებას. საფუძველი ძალიან მტკიცე გვაქვს მოცემული და უმჯობესია ამ საფუძველზე ავაშენოთ ცხოვრება. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, მართმადიდებლობა ცოცხალი სარწმუნოებაა, მარადის განახლებადი, მადლით განახლებადი. ადამიანმა რაც არ უნდა ბევრი თხზულებები დაწეროს, თუ ის პრაქტიკაში არ განახორციელებს და არ იცხოვრებს ქრისტიანულად და არ მიიღებს ქრისტიანობის სიხარულს, მისი რწმენა მკვდარია. პირველ რიგში ეს ევქარისტიაში გამოვლინდება. ადამიანი პრაქტიკაში, აქტიური ევქარისტიული ცხოვრებით არ ცხოვრობს მისთვის მკვდარი იქნება სარწმუნოება. უფალი ამბობს, რომელსა გინდოდეთ გამომყევით. ის არ ამბობს, გინდა თუ არა გამომყევით თორემ დაგსჯითო. ადამიანი თავად აკეთებს არჩევანს.

სტატიის ავტორი: თეა ცაგურიშვილი

— karibche.ambebi.ge